ქ. თბილისი 31.01.2014

აქტი

პირადი ცხოვრების ამსახველი აუდიო, ფოტო და ვიდეო მასალის განადგურების შესახებ

„უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს N 206 დადგენილების საფუძველზე შექმნილი უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ მიმდინარე წლის 31იანვარს ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. N38 მდებარე შსს ადმინისტრაციულ შენობაში დავესწარით პირადი ცხოვრების ამსახველი იმ აუდიო, ფოტო, ვიდეო მასალის და დოკუმენტაციის განადგურების პროცესს, რომელიც არ შეიცავდა ოპერატიულად ღირებულ ინფორმაციას ან არ იყო მოპოვებული სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებული გამოძიების ფარგლებში.

პროცესის შედეგად განადგურებულ იქნა აქტის დანართში მითითებული CD/DVD დისკები, რომლებიც შეიცავდა პირადი ცხოვრების ამსახველ აუდიო, ფოტო, ვიდეო მასალას და დოკუმენტაციას და ინფორმაციის მყარი ელექტრონული მატარებლები. დისკების საერთო რაოდენობამ შეადგინა 45 ელექტრონული მატარებელი დისკი.

კომისიის წევრები:

ალექსანდრე ჭიკაიძე - კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

თეა წულუკიანი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის წევრი

მერაბ გაბინაშვილი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, კომისიის წევრი

უჩა ნანუაშვილი - საქართველოს სახალხო დამცველი, კომისიის წევრი

თამარ ქალდანი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, კომისიის წევრი

ლაშა ტუღუში - გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორი, კომისიის წევრი

კახა კახიშვილი - საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი

ეკა გიგაური - ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის წევრი

ლევან იზორია (კომისიის მდივანი) - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ----------